ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 407

9 აგვისტო
"---"-------- 2022 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, მალხაზ დოლიძის ქუჩის მონაკვეთისთვის, წყნეთის გზატკეცილის შესახვევისთვის, მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, უსახელო გასასვლელისთვის და ირაკლი უჩანეიშვილის I ჩიხისთვის, ფილოსოფოსის, მწერლის ჯანსუღ კორძაიას სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ვაკის რაიონში, მალხაზ დოლიძის ქუჩის მონაკვეთს, წყნეთის გზატკეცილის შესახვევს, მასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ფილოსოფოსის, მწერლის ჯანსუღ კორძაიას ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
2. ვაკის რაიონში, ირაკლი უჩანეიშვილის I ჩიხს მიენიჭოს ჯანსუღ კორძაიას I ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
3. ვაკის რაიონში, მლხაზ დოლიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო გასასვლელს მიენიჭოს ჯანსუღ კორძაიას I გასასვლელის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
4. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
5. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

X=477842 Y=4617460
ჯანსუღ ვორძაიას ქ.
X=477762 Y=4617373
I გას
X=477796 Y=4617308
ჯანსუღ ვორძაიას ქ.
X=477918 Y=4617210
I ბოხი
X=477806 Y=4617207
X=477778 Y=4617163
1:2,000